ბრძოლა ზედა სართულში

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 15 მაისი.

“ნეფტიანიკი” (ბაქო) _ “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:1).

“ნეფტიანიკი”: ჯაფაროვი, ბოგდანოვი, ბრუხტი, ბაბაევი, სემიგლაზოვი, ტროფიმოვი, გაჯიევი, ტუაევი, აბდულაევი, მარქაროვი, ზეინალოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ხურცილავა (კუტივაძე), ჭელიძე, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი, მეტრეველი, ნოდია, ასათიანი.

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 0:0.

ამ მატჩის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. როცა ერთმანეთს ხვდებიან ლიდერები, თითოეული ქულა ოქროდ ფასობს. ამას გარდა, თბილისელები სწორედ ბაქოში ამთავრებდნენ თავიანთ საკმაოდ ხანგრძლივ გასვლით “ტურნეს”.

დინამოელებმა ეტყობა, ადრევე იცოდნენ, რომ მათი მეტოქე შეტევით დაიწყებდა თამაშს და წინასწარვე მოემზადნენ საამისოდ. თბილისელთა დაცვა შეუპოვრად იბრძოდა პირველივე წუთებზე და ამასთან, საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ ტუაევი და მარქაროვი. საკმაო სამუშაო ჰქონდა ურუშაძესაც, რომელსაც ხშირად უხდებოდა თამაშში ჩაბმა.

მოგერიებულ იქნა რა ეს პირველი დაწოლა, თანდათან გააქტიურდნენ სტუმრების თავდამსხმელები. 27-ე წუთზე ჯაფაროვმა გაჭირვებით მოიგერია მეტრეველის მიერ დარტყმული ბურთი კუთხურზე, მაგრამ იმავე მეტრეველის მოწოდებული კუთხურისას “ნეფტიანიკის” დაცვამ და მეკარემ დაუშვეს შეცდომა, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენა დათუნაშვილმა _ 1:0.

ეს გოლი ბაქოელებმა გაქვითეს 42-ე წუთზე. მდგომარეობის ხსნა ეჭვს გარეშეა, შეიძლებოდა. მცველებმა ნაჩქარევად ითამაშეს, შემდეგ ვერ მიუსწრეს ურუშაძის მიერ მოგერიებულ ბურთს და ანგარიშიც გათანაბრდა _ 1:1. ბურთი გაიტანა მარქაროვმა.

მეორე ტაიმში ბაქოელებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ დინამოელებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება და თავიანთი მეხუთე გასვლითი მატჩიც წაუგებლად დაამთავრეს.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 16 მაისი, 1967 წ.